



**დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა და წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

ქ. თბილისი

2022 წლის 30 ივნისი

**დისციპლინური საქმე №92/22
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ**

-- -- 2022 წლის 6 ივნისის №92 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2022 წლის 7 ივნისის №326/92-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:

1.1. საჩივრის ავტორის განცხადებით მოსამართლემ უგულვებელყო ზემდგომი ინსტანციის მიერ მიღებული განჩინება. 2021 წლის 27 დეკემბერს, ზემდგომი ინსტანციის მითითებების საწინააღმდეგოდ, უკანონოდ მიიღო განჩინება საქმის ნაწილობრივ მოსამართლე -- -- გადაცემის თაობაზე.

1.2. ამასთან, მოსამართლემ არ განახორციელა აცილება/თვითაცილება, რაც საჩივრის ავტორის განცხადებით მიუთითებს მის მიერ საქმეზე მიკერძოებული გადაწყვეტილების მიღებაზე.

2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2021 წლის 27 დეკემბერს -- -- განცხადებით (შუამდგომლობით) მიმართა -- -- სასამართლოს და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ადმინისტრაციული №--; №-- და №-- საქმეთა წარმოების განახლების, №--; №-- შემაკავებელი ორდერების ძალაში დატოვების და №-- დამცავი ორდერის გამოცემის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე.

2021 წლის 28 დეკემბრის განჩინებით განმცხადებელს დაუდგინდა ხარვეზი და დაევალა მტკიცებულების წარდგენა, კერძოდ, განმცხადებელს დაევალა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად მოთხოვნების გამიჯნა; ასევე დაევალა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე №-- დამცავი ორდერის თაობაზე მოთხოვნის ნაწილში შუამდგომლობის დაზუსტება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 427-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად; აღნიშნული ხარვეზის შესავსებად განმცხადებელს

განესაზღვრა საპროცესო ვადა 10 დღე. ვადის ათვლა დაიწყო განჩინების განმცხადებლისათვის ჩაბარების დღიდან.

2022 წლის 20 იანვარს -- -- სასამართლოს ხარვეზის შევსებისა და მოსამართლის აცილების შუამდგომლობით მიმართა -- --.

-- -- სასამართლოს 2022 წლის 24 იანვრის განჩინებით ხარვეზის შეუვსებლობის გამო -- -- განცხადება არ იქნა მიღებული სასამართლოს წარმოებაში. აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა -- -- 2022 წლის 28 იანვარს.

-- სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 22 მარტის განჩინებით -- -- კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 24 იანვრის განჩინება ხარვეზის შეუვსებლობის გამო განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის ნაწილში; -- -- 2021 წლის 27 დეკემბრის შუამდგომლობა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების გაუქმებისა და საქმეთა წარმოების განახლების შესახებ, წარმოების მიღების ეტაპიდან განსახილველად დაუბრუნდა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას; ასევე, -- -- 2022 წლის 20 იანვრის განცხადება მოსამართლის აცილების შესახებ განსახილველად დაუბრუნდა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

-- -- სასამართლოს 2022 წლის 6 მაისის განჩინებით ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ -- -- განცხადება -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე -- -- 2020 წლის 13 ოქტომბრის დამცავი ორდერის გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე დასაშვებად იქნა მიჩნეული; ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ -- -- განცხადებიდან ცალკე წარმოებად გამოიყო საქმის მასალები და -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე -- -- 2020 წლის 27 მაისის (საქმე №-- --) და 2020 წლის 14 სექტემბრის (საქმე №-- --) გადაწყვეტილებების გაუქმების თაობაზე მოთხოვნის ნაწილში განსახილველად გადაეცა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე -- --.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ სასამართლოები; 62-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კი, მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეცვლის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. დამატებით, საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს და არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ქრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

აღნიშნული პრინციპების დასაცავად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

კანონიერებაზე ზედამხედველობის აკრძალვა გულისხმობს მოსამართლის მიერ კანონის განმარტების, მტკიცებულებების, ფაქტობრივი და სამართლებრივი დასკვნების შეფასებას. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს მოსამართლის მიერ მიღებული აქტების შესწავლასაც. თავისმხრივ იმის შემოწმება, ხომ არ ჩაიდინა მოსამართლემ დისციპლინური გადაცდომა, ფართო გაგებით, კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სახისა და ელემენტების გათვალისწინებით, წარმოადგენს მოსამართლის ქმედების კანონიერების შემოწმებას. თუმცა, წინამდებარე გადაწყვეტილებაში მითითებული გარემოებები სცილდება დამოუკიდებელი ინსპექტორის უფლებამოსილებას.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამავე მუხლის მე-3 მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო გადაწყვეტილება - ესაა კანონით დადგენილი წესით საქმის განხილვის შედეგად სასამართლოს მიერ მიღებული მართლმსაჯულების აქტი, რომლითაც საქმე არსებითად წყდება.¹

მნიშვნელოვანია, რომ ქართულ მართლმსაჯულებაში მხოლოდ საქართველოს უზენაესი სასამართლოა პასუხისმგებელი საკუთარი პრეცედენტებით დაადგინოს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა და, ამ გზით, განუსაზღვროს ძირითადი მიმართულებები ქვედა ინსტანციების სასამართლოებს, ჩამოაყალიბოს და დაამკვიდროს სამართლებრივი მიდგომები, პრინციპები, სტანდარტები, განმარტოს ნორმები და იკისროს უზენაესი სამართალმემფარდებლის ფუნქცია.²

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის მიერ გაკეთებული განმარტებებისგან განსხვავებით, საქართველოს კანონმდებლობა არ შეიცავს ნორმებს, რომლებიც სხვა ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების პრეცედენტულ ბუნებას ფორმალურად აღიარებს. მიუხედავად ამისა, აღნიშნული გამომდინარეობს სააპელაციო სასამართლოს უფლებამოსილებიდან, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონთან შეუთავსებლობის გამო გააუქმოს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

დადგენილია, რომ -- სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 22 მარტის განჩინებით -- -- კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 24 იანვრის განჩინება ხარვეზის შეუვსებლობის გამო განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის ნაწილში.

მნიშვნელოვანია, რომ -- -- სასამართლოს 2022 წლის 6 მაისის განჩინებით ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ -- -- განცხადება -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 13 ოქტომბრის დამცავი ორდერის გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე დასაშვებად მიიჩნია; ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ -- -- განცხადებიდან ცალკე წარმოებად გამოყო საქმის მასალები და განსახილველად გადასცა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 27 მაისის (საქმე №--) და 2020 წლის 14 სექტემბრის (საქმე №--) გადაწყვეტილებების გაუქმების თაობაზე მოთხოვნის ნაწილში.

მოცემულ შემთხვევაში მოსამართლის მიერ ზემდგომი ინსტანციის მიერ მიღებული განჩინების უგულებელყოფაზე ვერ ვიმსჯელებთ, რადგან -- -- სააპელაციო სასამართლოს შესაბამისი განჩინების საფუძველზე 2022 წლის 6 მაისს მიიღო განჩინება. ხოლო თავისმხირვ მიღებული განჩინების კანონიერების შემოწმების საკითხი სცდება დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებს.

კანონით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნების არარსებობისას, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი შეაფასოს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინებისა და გადაწყვეტილების კანონიერება, რადგან არ წარმოადგენს მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონიერების შემოწმების მიზნით დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება შეუძლებელია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საჩივრის საფუძველიანობის შესწავლის შედეგად, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობაში

¹ სასამართლო გადაწყვეტილების სტრუქტურა პირველ და მეორე ინსტანციებში, პრაქტიკული სახელმძღვანელო სამოქალაქო სამართლის საქმეების განმხილველი მოსამართლეებისთვის, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), თბილისი 2020, გვ. 6

² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №3/1/1459,1491 საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 1.1. - 14 <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=9956>

შეფასების საფუძველზე, არ იკვეთება მოსამართლე -- -- მიერ დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ნიშნები.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტით, 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ვ ე ბ ა

1. შეწყდეს -- -- 2022 წლის 6 ივნისის №92 საჩივრის საფუძველზე არსებული დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ, აქტის კანონიერების შემოწმების ნაწილში (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.1. პუნქტი).

2. გაგრძელდეს დისციპლინური სამართალწარმოება №92/22 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლე -- -- მიმართ, შესაძლო დისციპლინური გადაცდომის სხვა ფაქტების შესწავლის ნაწილში „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტებზე (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.2 პუნქტი).

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი